

**ლიზინგის ხელშეკრულების
ნაწილი მეორე
სტანდარტული პირობები**

წინამდებარე ლიზინგის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამოხული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (მოგო) უდგენს მეორე მხარეს (ლიზინგის მიმღები) და რომელთა მეშვეობითაც ხდება კანონით დადგენილი ნორმების შემსრულებლობის დადგენა. ლიზინგის ხელშეკრულების სტანდარტული და მნიშვნელოვანი პირობები, რომლებიც განსხვავებულია თითოეული კლიენტისათვის, ერთიანობაში ქმნის სალიზინგო მომსახურების ხელშეკრულებას 'მოგო'-სა და თითოეულ კლიენტს შორის.

1. ძირითადი ცნებები ლიზინგი	ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის სასყიდლიანი გადაცემა სარგებლობაში მისი შესყიდვის უფლებით.	ლიზინგის საგანი	მნიშვნელოვან პირობებში მითითებული სატრანსპორტო საშუალება (ან ასეთთა ერთობლიობა), რომელიც ექვემდებარება 'მოგო'-ს მხრიდან ლიზინგის მიმღებისაგან ან გამყიდველისაგან შექმნას და რომელიც გადაეცემა ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულებათა სრულად შესრულების შემდეგ - საკუთრებაში, ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. ხელშეკრულების ტექსტში ტერმინი 'სატრანსპორტო საშუალება' ეხება როგორც ერთ საშუალებას, ასევე მათ ერთობლიობასაც.
ლიზინგის საგნის ნასყიდობის ფასი	ლიზინგის საგნის ფასი, რომელიც მითითებულია მნიშვნელოვან პირობებში, რომლსაც 'მოგო' იხდის სატრანსპორტო საშუალების შესაძენად.	მნიშვნელოვანი პირობები	ლიზინგის ხელშეკრულების პირველი ნაწილი.
გადახდის გრაფიკი	ლიზინგის საგნის შესყიდვის ღირებულებისა და სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკი, რომელიც მითითებულია მნიშვნელოვან პირობებში.	სახელშეკრულებო გადასახდელები	ლიზინგის მიმღების გადასახდელი თანხები, რომლებიც მოიცავენ სახელშეკრულებო საკომისიოს, ლიზინგის საგნის შესყიდვის ღირებულებას, სალიზინგო საზღაურს, პირგასამტეხლოსა და საჯარიმო სანქციებს, ქონების გადასახადსა და აგრეთვე სხვა გადასახდელებს, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით.
სალიზინგო საზღაური	ანაზღაურება, რომელიც მოიცავს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის სარგებლობისათვის ყოველთვიურად გადასახდელ საზღაურს.	ლიზინგის საგნის შესყიდვის ღირებულება	სატრანსპორტო საშუალების ღირებულება კონკრეტული მომენტისათვის, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის შესყიდვის შემთხვევაში და შედგება სატრანსპორტო საშუალების გადაუხდელი ღირებულებისაგან, სალიზინგო საზღაურისა და სალიზინგო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკომისიოსგან.
ლიზინგის საგნის გამოსყიდვის შენატანები	ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი თანხები სატრანსპორტო საშუალებისა და მისით სარგებლობისათვის.	მხარე/მხარეები	ლიზინგის მიმღები და/ან გამყიდველი და 'მოგო'.
საერთო თანხა, რომელიც ექვემდებარება ლიზინგის მიმღების მიერ დაბრუნებას	თანხა, რომელიც დარიცხულია ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, რომელიც შედგება სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასისგან და ყველა დანარჩენი ხარჯისგან, რომელიც ლიზინგის მიმღებმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებაზე დარიცხული ქონების გადასახადისგან.	სტანდარტული პირობები	ხელშეკრულების მეორე ნაწილი.
გამყიდველი	პირი, რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ემთხვევა ლიზინგის მიმღებს.	საჯარიმო პროცენტები	პროცენტები, რომელიც დაერიცხება სალიზინგო საზღაურს, რომლებიც დადგენილია ხელშეკრულებით..
პირგასამტეხლო	მნიშვნელოვანი პირობებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, რომელიც ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებში დაერიცხება დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა არადროული შესრულებისა და შესუსრულებლობისათვის.	გადავადების ღირებულება	ლიზინგის მიმღების მიერ 'მოგო'-სათვის გადასახდელი თანხა ლიზინგის ვადის გაგრძელებისათვის, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს 'მოგო' და სთავაზობს ლიზინგის მიმღებს სტანდარტული პირობების 8 პუნქტის შესაბამისად.

დათვალიერება	მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალებათა დათვალიერება, რომელიც სავალდებულოა გასავლელად ყველა მსუბუქი ავტომობილისათვის და/ან მათი მისაბმელათვის, ავტობუსებისათვის, სატვირთო ავტომობილათვის და/ან მათ მისაბმელათვის, რომლებიც ექვემდებარება გაყიდვას/გადაცემას/ზას.	ლიზინგის საერთო ღირებულება	თანხა, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შედგება სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასისაგან, ლიზინგის საგნის გამოსყიდვის შენატანისაგან, სალოზინგო საზღაურისა და ყველა ხარჯისაგან, რომელიც ლიზინგის მიმღებმა უნდა გაილოს ხელშეკრულების თანახმად და რომელიც ცნობილია 'მოგოსათვის'. ლიზინგის საერთო ღირებულებაში არ შედის ხარჯები, რომელიც ლიზინგის მიმღებმა უნდა გაილოს მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალების 'მოგო'-ს სახელზე გადარეგისტრირებასთან დაკავშირებით და აგრეთვე სხვა დამატებითი გადასახდელი, რომელიც მითითებულია მნიშვნელოვან პირობებში. ლიზინგის საერთო ღირებულების 'მოგოსათვის' დაბრუნების ვალდებულება აკისრია ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების შესაბამისად.
განაცხადი ლიზინგის მისაღებად	ლიზინგის მიმღების განაცხადი ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგის მისაღებად, რომელიც უნდა გაფორმდეს 'მოგო'-ს შიდა პოლიტიკის შესაბამისად 'მოგო'-ს მომსახურების ცენტრში ან/და მოგოს ელექტრონულ ვებ გვერდზე.	ლიზინგის ვადა	მნიშვნელოვან პირობებში მითითებული ვადა, რომლის განმავლობაში ლიზინგის მიმღებს გააჩნია უფლება ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით და ამავე დროს გადაიხადოს სატრანსპორტო საშუალების გამოსყიდვის შენატანი და სალოზინგო საზღაური.
განზაჭებული სატრანსპორტო საშუალება	ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის განზაჭებულია შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.	განზაჭებული სატრანსპორტო საშუალება	ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ არის განზაჭებული შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
ქონების გადასახადი	საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ქონების გადასახადის შესაბამისი ოდენობა		
2. ხელშეკრულების საგანი			
2.1. მას შემდეგ, რაც 'მოგო' მიიღებს სატრანსპორტო საშუალებას საკუთრებაში, 'მოგო' წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს ლიზინგის მიმღებს უფლებას ფლობდეს, სარგებლობდეს და აგრეთვე შეისყიდოს სატრანსპორტო საშუალება, ხოლო ლიზინგის მიმღები კი იღებს სატრანსპორტო საშუალებას ლიზინგით, მომავალში მისი შესყიდვის მიზნით.			
2.2 მას შემდეგ, რაც ლიზინგის მიმღები სრულად დაფარავს საერთო თანხას, რომელიც ექვემდებარება ლიზინგის მიმღების მიერ დაბრუნებას, იგი ვალდებულია არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა ასეთი დაფარვის სრულად განხორციელებიდან, გადაიფორმოს ლიზინგის საგანი - სატრანსპორტო საშუალება საკუთარ სახელზე მომსახურების სააგენტოში.			
3. ლიზინგის საგნის გადაცემა			
3.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ლიზინგის მიმღები გადაუხდის 'მოგო'-ს სახელშეკრულებო საკომისიოს, თუ ასეთი გათვალისწინებულია ხელშეკრულების პირველი ნაწილით.			
3.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით ლიზინგის მიმღები ადასტურებს ლიზინგის საგნის - სატრანსპორტო საშუალების ვარგისიანობას და მის შესაბამისობას ლიზინგის მიმღების მოთხოვნებისადმი და აგრეთვე ლიზინგის მიმღების მიერ შემოწმებულია სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობა. 'მოგო' არ აგებს პასუხს სატრანსპორტო საშუალების ხარისხზე და მის შესაბამისობაზე ლიზინგის მიმღების მოთხოვნებისადმი. აღნიშნულზე პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ გამყიდველი. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები და გამყიდველი ერთი და იგივე პირია, იგულისხმება და ლიზინგის მიმღების მიერ დასტურდება, რომ სატრანსპორტო საშუალების ვარგისიანობა და მის შესაბამისობა ლიზინგის მიმღების მოთხოვნებისადმი და აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობა შესწავლილია ლიზინგის მიმღების მიერ და მისაღებია მისთვის.			
3.3. ლიზინგის მიმღები იღებს ფაქტობრივ მფლობელობაში ლიზინგის საგანს - სატრანსპორტო საშუალებას ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად და მას შემდეგ, რაც მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალება დარეგისტრირდება 'მოგო'-ს სახელზე. ცალკე აქტი სატრანსპორტო საშუალების გადაცემაზე (მიღება-ჩაბრუნებაზე) საჭირო არ არის.			
4. დამატებითი უზრუნველყოფა და ლიზინგის საგნის ღირებულების ცვლილება			
4.1. ლიზინგის მიმღებმა გადაუხადა 'მოგო'-ს სახელშეკრულებო საკომისიო, თუ ასეთი გათვალისწინებულია;			
4.2. ხელმოწერილია და ძალაში შესულია დამატებითი უზრუნველყოფის ხელშეკრულება, თუ ასეთი გათვალისწინებულია ხელშეკრულების პირველი ნაწილით;			
4.3 ლიზინგის საგნის გადაუხდელი ღირებულება შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა დამატებითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელი ნაწილის გადახდის დემდე მისი ოდენობა ევროსთან მიმართებაში შემცირდა ან გაიზარდა სატრანსპორტო საშუალების შეძენისათვის გამოყენებული ვალუტის კურსის სულ მცირე 5% (ხუთი პროცენტი) ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ:			
4.3.1. დევალვაციის შემთხვევაში - ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელი ოდენობა იზრდება იმდენი პროცენტით, რა ოდენობითაც მოხდა სატრანსპორტო საშუალების შესაძენად გამოყენებული ვალუტის დევალვაცია ევროსთან მიმართებაში (სულ მცირე, 5%);			
4.3.2 რევალვაციის შემთხვევაში - ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელი ოდენობა მცირდება იმდენი პროცენტით, რა ოდენობითაც მოხდა სატრანსპორტო საშუალების შესაძენად გამოყენებული ვალუტის რევალვაცია ევროსთან მიმართებაში (სულ მცირე, 5%);			
4.4. ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელი ოდენობის ცვლილება, 4.3.-ში მითითებულ შემთხვევაში, ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც დადგება 4.3. პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა და 'მოგო'-მ სათანადოდ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით შეატყობინა აღნიშნულის შესახებ ლიზინგის მიმღებს. ლიზინგის მიმღები წინასწარ აცხადებს თანხმობას ასეთ ცვლილებაზე და გრაფიკის შესაბამის გადათვალაზე ხელშეკრულების პირველ ნაწილზე ხელმოწერით.			
4.5. სტანდარტული პირობების 4.4. პუნქტში მითითებულ შეტყობინებაში 'მოგო' აფიქსირებს ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელი ოდენობის თანახმად ცვლილებებისა და აგრეთვე ინფორმაციას ახალი გადაუხდელი ოდენობის გამოთვლის შესახებ და კომპეტენტური დაწესებულების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს შესაბამის ცვლილებებს.			
5. სახელშეკრულებო გადასახდელები			
5.1. ლიზინგის მიმღები კისრულობს ვალდებულებას შეიტანოს სალოზინგო საზღაური იმ ვადაში, ოდენობითა და ვალუტით, რაც დადგინდა გრაფიკით. 'მოგო' ადგენს და წარუდგენს ლიზინგის მიმღებს სახელშეკრულებო გადასახდელების ანგარიშებს, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს გრაფიკით გათვალისწინებულ თანხებში. მათ შორის, ქონების გადასახადის თანხაზე, რომლებიც გამოიწერება შესაბამისი პერიოდულობით.			
5.2. ლიზინგის მიმღები ახორციელებს გადახდებს 'მოგო'-ს ანგარიშზე შეტანით/ჩარიცხვით.			
5.3. გადარიცხვის გზით შენატანის და ნებისმიერი გადასახდელის განხორციელებისას ლიზინგის მიმღები ვალდებულია დანიშნულების ველში მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი.			
5.4. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები ახორციელებს გადახდას არა 5.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით, 'მოგო'-ს აქვს უფლება არ ჩათვალოს ასეთი გადახდა სათანადოდ შესრულებულად მის იდენტიფიცირების მომენტამდე.			

5.5. ლიზინგის მიმღები გააჩნია უფლება შეისყიდოს სატრანსპორტო საშუალება ლიზინგის ვადის დასრულებამდე 'მოგო'-სათვის სულ მცირე 3 (სამი) დღით ადრე შეტყობინებით. ასეთ შემთხვევაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაუხადოს 'მოგო'-ს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნის შესყიდვის ღირებულება.
5.6. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება დაადგინოს ვალდებულებათა დაფარვის რეკვიზიტები ლიზინგის მიმღებისგან.
5.7. იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო გადასახდელების ვადა ემთხვევა სადღესასწაულო ან უქმე დღეს, გადასახდელი შესრულებას ექვემდებარება მიმდევრობითი დღეები.
5.8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ძალაში შევა საგადასახადო დაბეგვრის ან მოსაკრებლების ისეთი რეჟიმი ან დადგება რაიმე ისეთი სხვა შემთხვევა, რომელიც 'მოგო'-ს დააკისრებს დამატებით გადასახდელებს ან შეამცირებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისაღებ გადასახდელებს, 'მოგო'-ს გააჩნია უფლება შესაზამისად გაზარდოს ან შეამციროს სახელშეკრულებო გადასახდელები ლიზინგის მიმღებთან დამატებითი თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელისადმი 30 დღიანი წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით, რასაც თან დაერთვება განახლებული გრაფიკი ან შესაბამისი ანგარიში.
5.9. მხარეები თანხმდებიან, რომ სახელშეკრულებო გადასახდელოათვის 'მოგო' შეადგენს ელექტრონული ფორმის მქონე ანგარიშებს და ისინი ნამდვილად მიიჩნევა ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ანგარიშების გაგზავნა ლიზინგის მიმღებისათვის მოხდება ელექტრონული გზავნილით, ხელშეკრულებაში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.
6. სალიზინგო საზღაური
6.1. ლიზინგის მიმღები უხდის 'მოგო'-ს სალიზინგო საზღაურს ლიზინგის საგნით სარგებლობის მთელი ფაქტობრივი პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულების შეწყვეტამდე. აქვე ზუსტდება, რომ ლიზინგის საგნის ღირებულების იმ ნაწილზე, რომელიც ხმარდება სატრანსპორტო საშუალების განაჯებებს, სარგებლობის პერიოდი ათვლება 'მოგო'-ს მიერ მისი ხაზინაში გადახდის დღიდან, ხოლო სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილისათვის - მისი ლიზინგის მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.
7. უარის უფლება
7.2. უარის უფლების გამოყენების შესახებ განცხადებაში ლიზინგის მიმღებმა უნდა მიუთითოს შემდეგი: (ა) 'მოგო'-ს სახელი და იურიდიული მისამართი; (ბ) ლიზინგის მიმღების სახელი, გვარი და პირადი ნომერი; (გ) მითითება ხელშეკრულებიდან გასვლისა და ვადაზე ადრე სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასის დაბრუნების შესახებ; (დ) განცხადების შედგენის ადგილი და თარიღი.
7.3. ლიზინგის მიმღები ვალდებულია უარის შესახებ განცხადების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა და უბრუნოს 'მოგო'-ს სატრანსპორტო საშუალების ღირებულების გადაუხდელი ნაწილი და გადაუხდელი სალიზინგო საზღაური. სალიზინგო საზღაურის გადახდა ხდება მნიშვნელოვან პირობებში მითითებული სალიზინგო საზღაურის დღიური (თვიური) ოდენობის მიხედვით.
7.4. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები გამოიყენებს უარის უფლებას, ლიზინგის მიმღები ფარავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების ღირებულების გადაუხდელი ნაწილისა და გადაუხდელი სალიზინგო საზღაურის დაფარვასთან და აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ლიზინგის მიმღების სახელზე გადარეგისტრირებასთან დაკავშირებით.
8. ლიზინგის ვადის გაგრძელება
8.1. ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ლიზინგის ვადის გაგრძელება (ა) ლიზინგის ვადის გაგრძელებაზე შესაბამისი განაცხადის შევსების გზით ან (ბ) ლიზინგის მიმღებზე განაცხადში მითითებული ელ-ფოსტის მისამართიდან შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის გზით 'მოგო'-ს ელ-ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში ან საიტზე. მოთხოვნა უნდა შესრულდეს შემდეგი ტექსტით: 'გთხოვთ გააგრძელოთ ხელშეკრულება N[ხელშეკრულების ნომერი]'.
8.2. დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც 'მოგო' მიიღებს და შეაფასებს განაცხადს ლიზინგის ვადის გაგრძელების შესახებ, 'მოგო' მიიღებს გადაწყვეტილებას ლიზინგის ვადის გაგრძელების თაობაზე რასაც ლიზინგის მიმღებს შეატყობინებს ქვემოთ მოყვანილი რომელიმე გზით:
8.2.1. ზეპირად, პირისპირ თანდასწრებით;
8.2.2. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის მისაღებ განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე დარეკვით; ან
8.2.3. ლიზინგის მისაღებ განაცხადში მითითებულ ლიზინგის მიმღების ელ-ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნით.
8.3. არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა და 'მოგო'-ს მიერ ლიზინგის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მიღებიდან და ასეთი გაგრძელების ღირებულების ოდენობის ლიზინგის მიმღებისადმი შეტყობინებიდან ლიზინგის მიმღები ადისტრუქტურებს ლიზინგის ვადის გაგრძელებას 'მოგო'-ს ანგარიშზე შესაბამისი საფასურის გადარიცხვის გზით. გადახდის დანიშნულებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ტექსტი: 'თანხმობას ვაცხადებ N[ხელშეკრულების ნომერი] ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე'. თუ 'მოგო' არ მიიღებს ლიზინგის ვადის გაგრძელების შესაბამის ღირებულებას წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, 'მოგო'-ს გადაწყვეტილება ლიზინგის ვადის გაგრძელებასა და ასეთის ღირებულების ოდენობაზე კარგავს ძალას და ლიზინგის მიმღებს მოუწევს განმეორებით წარადგინოს განაცხადი ლიზინგის ვადის გასაგრძელებლად.
8.4. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება უარი განაცხადოს ლიზინგის ვადის გაგრძელებაზე ლიზინგის მიმღებისათვის შეტყობინების გზით. 'მოგო' არ არის ვალდებული დასაბუთოს ასეთი უარის მიზეზი.
8.5. ლიზინგის ვადის გაგრძელება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც 'მოგო' მიიღებს გადაწყვეტილებას ლიზინგის ვადის გაგრძელებასა და ასეთის ღირებულების შესახებ და მიიღებს შესაბამის ღირებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8.6. ლიზინგის ვადის გაგრძელების ძალაში შესვლისთანავე 'მოგო' უგზავნის ლიზინგის მიმღებს განახლებულ გრაფიკს.
9. ლიზინგის მიმღების უფლებები და ვალდებულებები
9.1. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაწყვიტოს დავები, რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებასთან, აღმოფხვრას სატრანსპორტო საშუალებაზე ადომინისტრაციული ნებისმიერი არასრულყოფილება ან დანაკლისი და აგრეთვე განახორციელოს მიმართვები მესამე პირთა წინააღმდეგ თუ ისინი რაიმე გზით ზიანს აყენებენ 'მოგო'-ს სატრანსპორტო საშუალებისადმი ზიანის მიყენებით ან მისი მართლსაწინააღმდეგო გამოყენებით. აღნიშნულ ვალდებულებათა შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები იღებს შესაბამის მინდობილობას 'მოგო'-სგან, სტანდარტული პირობების პუნქტი 10.1 თანახმად.
9.2. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით სათანადო გულისყურით, მისი პირდაპირი დანიშნულებით და თანახმად ტექნიკური მახასიათებლებისა, მწარმოებელსა და 'მოგო'-ს, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტაციაში მითითებული გამოყენების მოთხოვნები და ექსპლუატაციის წესები.
9.3. ნებისმიერი ისეთი შემთხვევისას, რომლის შედეგადაც სატრანსპორტო საშუალების ღირებულება შემცირდა, ჩვეულებრივი ცვეთის გარდა, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ 'მოგო'-ს ნებისმიერი ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, მოგვიანებით შემთხვევისა და გარემოების წერილობითი დადასტურებით. შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებულია ითანამშრომლოს 'მოგო'-სთან და/ან ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ნებისმიერ მესამე პირთან (მაგ. სახელმწიფო ორგანოებთან, სადაზღვევო კომპანიებთან და ა.შ.) იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მიადგა სატრანსპორტო საშუალებას შემთხვევის შედეგად.
9.4. ლიზინგის მიმღები ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მიიღოს ზომები სატრანსპორტო საშუალების უწყვეტი ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის იმ წესით და ვადით, რომელიც გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების საგარანტიო და/ან ტექნიკური დოკუმენტაციით, განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება და რემონტი.
9.5. ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს სატრანსპორტო საშუალება ან მისი ნაწილი. ლიზინგის მიმღების მიერ სატრანსპორტო საშუალების მესამე პირისთვის გადაცემისას, ლიზინგის მიმღები პასუხისმგებელია ამ პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებაზე, რაც გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის, მოსარგებლისათვის, მფლობელისა და მესაკუთრისათვის. აგრეთვე ლიზინგის მიმღები რჩება სრულად პასუხისმგებელი 'მოგო'-ს წინაშე ხელშეკრულების პირობათა შესრულებისათვის.
9.6. ლიზინგის მიმღები ფარავს ყველა დამატებით გადასახდელებს, რაც მითითებულია მნიშვნელოვან პირობებში და სხვა ხარჯებს, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან და დათვალიერებასთან შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სპეციალურ პუნქტ(ებ)ში ან/და მომსახურების სააგენტოში და აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ლიზინგის საგნის 'მოგო'-ს სახელზე რეგისტრაციისას, მოგო ვალდებულია მოახდინოს მომსახურების სააგენტოს მიერ გადაფორმებისათვის დადგენილი მინიმალური მოსაკრებლის ანაზღაურება, ლიზინგის მიმღები კი თავის მხრივ ვალდებულია წარმოადგინოს მოგოს სახელზე გაცემული რეგისტრაციის მოწმობა. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ანაზღაუროს დაკისრებული ადმინისტრაციული ან სხვა ფულადი ჯარიმები და სხვა გადასახდელები, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებასთან ან რომელთა დაფარვა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის, მოსარგებლის, მფლობელისა და მესაკუთრის.
9.7. ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება 'მოგო'-ს წერილობითი თანხმობის გარეშე შეიტანოს ცვლილებები სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ კომპლექტაციაში და გააუმჯობესოს იგი, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტაციითა თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან რომლებიც არ შეიძლება დემონტირებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალების დაზიანების გარეშე. სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი გაუმჯობესება (მოწყობილობა და დეტალები), რომელიც არ შეიძლება დემონტირებულ იქნეს მისი დაზიანების გარეშე, გადაცემის შემთხვევაში ითვლება 'მოგო'-ს საკუთრებად.

9.8. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება შეინახოს ტექნიკური, საგარანტიო და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის, დაკარგვის შემთხვევაში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება მიიღოს აუცილებელი ზომები დოკუმენტების აღდგენისათვის ან მიიღოს შესაბამისი დებულება.
9.9. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაციის ან იდენტიფიკაციის პროცედურის გავლა (როგორც რეგულარული, ასევე ერთჯერადი) გახდება საკვლევი საჭიროების ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ღირებულების მიმდებარე ვალდებულება დროულად და საკუთარი ხარჯით გაიაროს ასეთი შესაბამისი ნორმატიული აქტით მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად. 'მოგო' მოაწოდებს ღირებულების მიმდებარე ყველა საჭირო დოკუმენტაციას და მინიჭებს ყველა აუცილებელ სამისო უფლებამოსილებას, რაც საჭირო იქნება ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების მიმდებარე დარღვევის შემთხვევაში ვალდებულებას, იგი იქნება ყველა დამდგარ შედეგზე მატერიალურად პასუხისმგებელი (მათ შორის შესაბამის ჯარიმებზე).
9.10. ღირებულების მიმდებარე ვალდებულება მისცეს 'მოგო'-ს საშუალება ნებისმიერ მომენტში, ფრთხილად, შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა.
9.11. სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის ნაწილობრივი ან სრული შეზღუდვა დაზიანების, დანაკარგის ან სრული განადგურების გამო ან სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული დავები არ ათავისუფლებს ღირებულების მიმდებარე ვალდებულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისგან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომელიც გამოწვეულია 'მოგო'-ს ბრალით.
9.12. ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება გადასცეს 'მოგო'-ს სატრანსპორტო საშუალება თავდაპირველ კომპლექტაციაში (ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის არსებული კომპლექტაცია. გადაცემას აგრეთვე ექვემდებარება სატრანსპორტო საშუალების გასაღები) გადაცემული სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს თავდაპირველ კომპლექტაციაში, მას არ უნდა გააჩნდეს დეფექტი ან ნაკლი, რაც არ უკავშირდება ჩვეულებრივ ცვეთას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება 3 (სამი) დღის განმავლობაში 'მოგო'-ს პირველი მოთხოვნისთანავე დაფაროს სარემონტო სამუშაოებისა და მასალების ხარჯები, რაც აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების იმ მდგომარეობამდე მიყვანისათვის, რომელიც იგი იმყოფებოდა სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასის გადახდის დღეს.
9.13. ღირებულების მიმდებარე თანახმა მასზე, რომ 'მოგო'-ს გააჩნია უფლება მიიღოს სატრანსპორტო საშუალება მფლობელობაში, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება სატრანსპორტო საშუალებას 'მოგო'-ს.
9.14. ღირებულების მიმდებარე ვალდებულება არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა წერილობით შეატყობინოს 'მოგო'-ს შემდეგი შემთხვევები:
9.14.1. სატრანსპორტო საშუალება გაუჩინარდა, დაზიანდა, განადგურდა, ჩამორთმეულია ან ცნობილი გახდა რომელიმე ასეთი გარემოების მოსალოდნელი დადგომის შესახებ;
9.14.2. იცვლება ღირებულების მიმდებარე სახელი, გვარი ან/და მისამართი;
9.14.3. დაკარგულია ტექნიკური და/ან სხვა დოკუმენტაცია სატრანსპორტო საშუალების შესახებ;
9.14.4. სატრანსპორტო საშუალებაზე დარეგისტრირებულია აკრძალვა;
9.14.5. სასამართლოში მიმდინარეობს ღირებულების მიმდებარე ვალდებულების გადახდისუზუნარობის საქმე.
9.15. ღირებულების მიმდებარე ვალდებულებას უპირობოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი და აღნიშნულთან დაკავშირებით სრულად კისრულობს პასუხისმგებლობას შესრულების დაგვიანებისათვის და აგრეთვე შემთხვევით რისკს. შემთხვევით რისკს ღირებულების მიმდებარე იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების მიმდებარე მოქმედება ნორმატიული აქტების ან ხელშეკრულების დებულებათა საპირისპიროდ.
9.16. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ღირებულების მიმდებარე ვალდებულება მოიხმარდეს ელექტრონული კავშირისა და მონაცემთა გადაცემის მხოლოდ სანდო და უსაფრთხო საშუალებებს.
9.17. ღირებულების მიმდებარე ვალდებულება, აუცილებლობის შემთხვევაში, მოგო-ს მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს ჯიპის მოწყობილობის ინსტალაცია. მოგო კი თავის მხრივ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომატური გადაადგილების პერმანენტული კონტროლი. აღნიშნული მოწყობილობის ინსტალაციის საფასურს სრულად დაფარავს მოგო, ხოლო ღირებულების მიმდებარე ვალდებულება მოუფრთხილდეს მას და სალიზინგო პერიოდის განმავლობაში არ მოახდინოს მისი დაზიანება/მოსხნა/გათიშვა. წინამდებარე პუნქტის, ღირებულების მიმდებარე მხრიდან, დარღვევის შემთხვევაში მოგო უფლებამოსილია მოითხოვოს სალიზინგო 10. მინდობილობა
10.1. 'მოგო' გასცემს ღირებულების მიმდებარე მინდობილობას შემდეგ შემთხვევებში:
10.1.1. რომელიც გათვალისწინებულია სტანდარტული პირობების 9.1. პუნქტში.
10.1.2. სატრანსპორტო საშუალების საქართველოს ფარგლებს გაცვანისათვის და სარგებლობისათვის, იმ შემთხვევაში თუ ღირებულების მიმდებარე ვალდებულება 'მოგო'-ს წინაშე შესრულებული ვალდებულება.
10.2. 'მოგო'-ს აქვს უფლება უარი განაცხადოს 10.1.2 პუნქტში მითითებული მინდობილობის გაცემაზე, ღირებულების მიმდებარე ვალდებულების მიმდებარე ვალდებულების მიმდებარე ვალდებულება 'მოგო' არ არის ვალდებული დასაბუთოს უარის მიზეზი. ღირებულების მიმდებარე ვალდებულება 'მოგო' აცხადებს აღნიშნულ უართან დაკავშირებით წამოაყენოს რაიმე პრეტენზია და/ან პროტესტი.
11. ვალდებულებათა შესრულება
11.1. ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულება ხდება იმ ვალუტაში, რომელიც შედგენილია გრაფიკი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების მიმდებარე ვალდებულება გადახდის სხვა ვალუტაში, 'მოგო' საკუთარი შეხედულებით აკონვერტირებს შესაბამის თანხას იმ ვალუტაში, რომელიც შედგენილია გრაფიკი, იმ საბანკო დაწესებულების კომერციული კურსით, რომელსაც აირჩევს ან გადახდის მიღების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კონვერტაციის შემდეგ ღირებულების მიმდებარე ვალდებულების მიერ განხორციელებული გადახდა არ ფარავს გრაფიკით გათვალისწინებულ შენატანს, ღირებულების მიმდებარე ვალდებულება 3 (სამი) დღის განმავლობაში გადახდის შესრულებიდან დაფაროს არსებული დავალიანება. ნებისმიერი ხარჯი, რაც უკავშირდება ფულად გადარიცხვას, ანგარიშზე შეტანასა და სხვ. ეკისრება ღირებულების მიმდებარე.
11.2. ხელშეკრულება ძალაში მის მიერ დადგენილ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე და ითვლება შესრულებულად მას მერე, რაც ღირებულების მიმდებარე ვალდებულების 'მოგო'-ს სატრანსპორტო საშუალების გადახდელ ღირებულებას სრულად, სალიზინგო საზღაურს სრულად და აგრეთვე დარიცხულ ჯარიმასა და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო 'მოგო' გადასცემს ღირებულების მიმდებარე ვალდებულებას სატრანსპორტო საშუალებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
11.3. ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები ითვლება შესრულებულად დროულად, თუ მათ შესრულებას ადგილი ჰქონდა ვალდებულების შესრულებისათვის გამოყოფილი ვადის არაუგვიანეს უკანასკნელი დღისა. გადახდის ვალდებულება შესრულებულია იმ მომენტიდან, როდესაც თანხა ჩაირიცხება 'მოგო'-ს ანგარიშზე.
11.4. სტანდარტული პირობების პუნქტ 13.3-ში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება იმ დღიდან, რომელიც 'მოგო'-მ გაუზიარა ღირებულების მიმდებარე ვალდებულების შეწყვეტის ან ასეთი მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მხარისათვის ჩაბარებისა და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით მიცემული ვადის უმეტესად გავლის დღეს.
12. პასუხისმგებლობა
12.1. სტანდარტული პირობების 3.3. პუნქტის თანახმად სატრანსპორტო საშუალების მიღების მომენტიდან ღირებულების მიმდებარე ვალდებულებით კისრულობს შემთხვევით რისკს (სატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან განადგურება) და მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობას.
12.2. 'მოგო'-ს უფლება აქვს დააისროს ღირებულების მიმდებარე ვალდებულება, ყოველი ახალი ვადაგადაცემის ფაქტის დაფიქსირებისას, 20 ლარი ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დადგენილი გადასახდელი ვადის ვალდებულებისათვის, ხოლო თუ გადახდა არ განხორციელდება, დამატებით დაირიცხოს ხელშეკრულების დარღვევის მომენტისათვის ღირებულების საგნის გადახდელი ღირებულების 0,27% საჯარიმო პროცენტი ყოველი გადაცემის დღისათვის, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ღირებულების საგნის 12.3. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების მიმდებარე ვალდებულებას ან არღვევს ნებისმიერი ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია სტანდარტული პირობებით, ღირებულების მიმდებარე ვალდებულება გადახდად 'მოგო'-ს ყოველ ვადაგადაცემის დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულების დარღვევის მომენტისათვის ღირებულების საგნის გადახდელი ღირებულების 0,27% , გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 12.2. და 12.4 პუნქტში გათვალისწინებული
12.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ღირებულების მიმდებარე ვალდებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.
12.5. ხელშეკრულების შესრულების მხარეთა მიერ კავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყენებისას 'მოგო' არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რაც წარმოიშობა ფოსტით, ელექტრონული და სხვა კავშირის საშუალებათა ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზებისა თუ დეფექტების გამო, მათ შორის, იმ ტექნიკურ მოწყობილობებზე, რომელიც უზრუნველყოფს 'მოგო'-ს მომსახურებას, მაგ. კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანება, მონაცემთა ელექტრონულად მიმოცვლის სისტემის ფუნქციონირების დარღვევა და საკრედიტო დაწესებულებათა საგადახდო სისტემების დარღვევა (ინტერნეტ- ბანკი) და ა.შ.
13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა
13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი პირველი ნაწილის (მნიშვნელოვანი პირობების) ხელმოწერის მომენტიდან და იდება მნიშვნელოვანი პირობებში მითითებული
13.2. ხელშეკრულება ავტომატურად კარგავს ძალას, თუ ღირებულების მიმდებარე ვალდებულება 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან არ შესრულებს ავტომატობის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

13.3. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით შეატყობინების გაგზავნის გზით, ცალმხრივად გავიდეს ხელშეკრულებიდან თუ დადგარო მდგომარეობაში შემდგომი გარემოება:
13.3.1. ლიზინგის მიმღებმა დროულად ან სრულად არ შესრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა და ასეთი დაყოვნება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტ ვადით;
13.3.2. სატრანსპორტო საშუალება მოპარულია, მიტაცებულია, სრულად განადგურებულია, ვერ იძებნება, ჩამორთმეულია, გასხვისებულია სასამართლო წესით ან/და მისი სარგებლობის უფლება შეზღუდულია მესამე პირთა მხრიდან და 'მოგო'-სგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ლიზინგის მიმღებმა არ წარმოადგინა 'მოგო'-სათვის მისაღები სხვა უზრუნველყოფის საშუალება;
13.3.3. 'მოგო'-სათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში ლიზინგის მიმღებმა მიუთითა არასწორი ან არასრული ინფორმაცია (მათ შორის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის შესახებ, ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ, რომელშიც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისა და დამატებითი მოწყობილობების შესახებ);
13.3.4. ლიზინგის მიმღების ქმედების შედეგად სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი ღირებულება ნაკლებია ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის დაზიანების მომენტისათვის სატრანსპორტო საშუალების ღირებულების გადაუხდელობაზე 10% (ათი) მეტი ოდენობით და 'მოგო'-ს შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ლიზინგის მიმღებმა არ დააბრუნა ასეთი გზით წარმოშობილი განსხვავება სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივ ღირებულებასა და სატრანსპორტო საშუალების გადაუხდელობაზე ნაწილს შორის;
13.3.5. ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ან არაჯეროვანად ასრულებს სტანდარტული პირობების 9.2, 9.3, 9.4., 9.8, 9.9 პუნქტებსა და/ან მნიშვნელოვანი პირობების განსაკუთრებულ დებულებებს და ასეთი დარღვევა არ აღმოიფხვრება 'მოგო'-სგან შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ან ასეთი დარღვევა განმეორდება;
13.3.6. ლიზინგის მიმღები არღვევს სტანდარტული პირობების 9.4, 9.6 და 9.8 პუნქტებს, რის შედეგადაც ლიზინგის საგნის ღირებულება მცირდება 10%-ზე (ათი) მეტად;
13.3.7. თავდები, რომელმაც განაცხადა თავდებობა ლიზინგის მიმღების ვალდებულებისათვის, ხდება გადახდისუუნარო, ლიკვიდირდება ან არ ასრულებს უზრუნველყოფის ხელშეკრულების პირობებს და ასეთი დარღვევა არ აღმოიფხვრება 'მოგო'-სგან შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ლიზინგის მიმღებმა არ წარუდგინა 'მოგო'-ს სხვა მისაღებ თავდებს;
13.3.8. ლიზინგის მიმღების წინააღმდეგ მიმართულია მესამე პირთა საფუძვლიანი მოთხოვნები, რომელთა საერთო ოდენობა აღემატება ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელობაზე ნაწილს 20% (ოცი);
13.3.9. თუ ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ნებისმიერ სხვა პირობას, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია ლიზინგის მიმღებმა და 'მოგო'-ს შორის, რის შედეგადაც 'მოგოს' აქვს უფლება რომ ცალმხრივად გავიდეს მსგავსი ხელშეკრულებიდან.
13.3.10. სასამართლოში შეტანილია განცხადება ლიზინგის მიმღების გადახდისუუნარობის შესახებ და აგრეთვე თუ ლიზინგის მიმღები გარდაიცვლება ან გამოცხადდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.
13.4. 'მოგო'-ს მხრიდან ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ, 'მოგო'-ს მოთხოვნისთანავე გადასცეს ლიზინგის საგანი 'მოგო'-ს ან ამ უკანასკნელის მინდობილ პირს და შესარულოს ყველა სახელშეკრულებო გადახდა ლიზინგის საგნის გადაცემამდე და აგრეთვე გადაიხადოს ყველა სხვა ფულადი თანხა, რომლის გადახდაც ეკუთვნის 'მოგო'-ს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.
13.5. სტანდარტული პირობების პუნქტ 13.2-ის თანახმად ხელშეკრულების შეწყვეტისას ლიზინგის მიმღებს რჩება ვალდებულება გადაიხადოს შეთანხმებული სახელშეკრულებო საკომისიო, თუ ასეთი გათვალისწინებულია.
13.6. სტანდარტული პირობების 13.3.2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის შემთხვევაში, 'მოგო'-სგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაუხადოს 'მოგო'-ს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ლიზინგის საგნის ღირებულების გადაუხდელობაზე ნაწილი.
13.7. თუ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება ან 'მოგო' ცალმხრივად გადის ხელშეკრულებიდან (გარდა სტანდარტული პირობების 13.3.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 'მოგო'-ს გააჩნია სრული უფლება გაასხვისოს სატრანსპორტო საშუალება ნებისმიერ ფასად. სატრანსპორტო საშუალების გასხვისებით მიღებული თანხა მიმართული იქნება ლიზინგის მიმღების დავალიანების დასაფარად და იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებულია ლიზინგის საგნის ამოღებასთან, დანაკლისების და/ან დაზიანების აღმოფხვრასთან და გასხვისებასთან, სტანდარტული პირობების 5.6. პუნქტით გათვალისწინებული რიგითობით. შესაბამისი მოხონების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაფაროს განსხვავება ლიზინგის მიმღების დავალიანებასა და ხარჯების საერთო ოდენობას რაც დაკავშირებულია ლიზინგის საგნის ამოღებასთან, დანაკლისების და/ან დაზიანების აღმოფხვრასთან და გასხვისებასთან და იმ ფასს შორის, რომლის ოდენობითაც 'მოგო' თანახმაა გაასხვისოს სატრანსპორტო საშუალება მესამე პირზე ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით. ფულადი სახსრების ნაშთი, არსებობის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებს არ უბრუნდება, რაზეც ლიზინგის მიმღები აცხადებს უპირობო და გამოუხმობად თანხმობას.
13.8. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, როდესაც ლიზინგის მიმღები შესარულებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას და შესარულებს ყველა გათვალისწინებულ გადახდას იმ პირობით, რომ ლიზინგის მიმღებს 'მოგო'-ს წინაშე არ გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულება, 'მოგო' გადასცემს ლიზინგის მიმღებს სატრანსპორტო საშუალებას საკუთრებაში, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია მიიღოს ასეთი საკუთრებაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადადრეგისტრირება მომსახურების სააგენტოში ახდენს ლიზინგის მიმღები საკუთარი ხარჯით ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. 'მოგო' გადასცემს, ხოლო ლიზინგის მიმღები საკუთრებაში ღებულობს სატრანსპორტო საშუალებას იმ მომენტში, როდესაც იგი დარეგისტრირდება ლიზინგის მიმღების სახელზე მომსახურების სააგენტოში. ცალკე აქტი სატრანსპორტო საშუალების გადაცემაზე (მიღება-ჩაბარება) საჭირო არ არის. ხოლო თუ ლიზინგის მიმღები აგრძელებს სატრანსპორტო საშუალების საკუთარ სახელზე გადადრეგისტრირების გაკვირებას 30 (ოცდაათი) დღეზე მეტ ვადით, 'მოგო' იტოვებს უპირობო უფლებას გადაიხადოს სატრანსპორტო საშუალება ძებნაში და ცალმხრივად მოხსნას სატრანსპორტო საშუალება აღრიცხვიდან მომსახურების სააგენტოში, რაზეც ლიზინგის მიმღები უპირობოდ თანხმდება და აღიარებს, რომ ასეთი ქმედებით განხორციელება 'მოგო'-ს მხრიდან განპირობებულია ლიზინგის მიმღების მიერ თავისი ვალდებულების უხეში დარღვევით.
14. სხვადასხვა
14.1. ლიზინგის მიმღებისგან შესაბამისი მოთხოვნის მიღების შემდეგ 3 (სამი) დღის განმავლობაში 'მოგო' უფასოდ გაუზავნის ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულებაში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე გრაფიკს, რომელშიც მითითებული იქნება ლიზინგის საგნის გამოსყიდვის შენატონის ოდენობა და შესაბამისი სალიზინგო საზღაური, რომელიც ექვემდებარება ლიზინგის მიმღების მიერ გადახდას და ასეთი გადახდების შესრულების პერიოდებს.
14.2. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები მოითხოვს 'მოგო'-სგან ინფორმაციას ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების შესახებ ინფორმაციას, 'მოგო' მოაზრდება მოთხოვნილ ინფორმაციას წერილობით არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადაში და აგრეთვე იტოვებს უფლებას მოსთხოვოს ლიზინგის მიმღებს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია წერილობითი ინფორმაციის მომზადებასა და გადაგზავნასთან არაუმეტეს 7 (შვიდი) ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე) ინფორმაციის გამოთხოვის ყოველი შემთხვევისათვის. შესრულებული სახელშეკრულებო გადახდების შესახებ ინფორმაცია (გადახდების ამონაწერი) 'მოგო' ლიზინგის მიმღებს წარუდგენს არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა, ამ პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის მოთხოვნის გარეშე.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებაში მითითებული რიცხვების მნიშვნელობა ციფრებით არ ემთხვევა სიტყვიერ გამოსახულებას, უპირატესი ძალა ენიჭება სიტყვიერ ფორმას. იმ შემთხვევაში, როდესაც სტანდარტული პირობები ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან პირობებს, უპირატესი ძალა ენიჭება მნიშვნელოვან პირობებს.
14.4. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. „მოგოს“ შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).
14.4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების პირველ ნაწილში, და/ან კლიენტის მიერ მოვლასთვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება კლიენტისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
14.4.2. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით, რაც ადასტურებს მიმღების ელ-ფოსტაზე ინფორმაციის მიღებას. ამასთან, აუცილებელი არ არის მიღებული შეტყობინების პასუხად კლიენტის მიერ საპასუხო შეტყობინების გაგზავნა - მიღების დადასტურება;
14.4.3. შეტყობინება მიღებისა და/ან ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნის მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;
14.4.4. ლიზინგის მიმღები ვალდებულია დროულად შეატყობინოს 'მოგო'-ს საკუთარი საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

<p>14.6. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება განახორციელოს ლიზინგის მიმღების პირადი მონაცემების დამუშავება და აგრეთვე გადასცეს და მიიღოს ლიზინგის მიმღების მონაცემები და სხვა ინფორმაცია მესამე პირებისაგან, მონაცემთა ბაზებიდან, სააღრიცხვო სისტემებიდან (მაგ. სამოქალაქო რეესტრი და სხვ.) და დამუშავოს ასეთი მონაცემები კლიენტთა აღრიცხვის, მომსახურების შეთავაზების, გაწევისა და მიწოდებისათვის. ლიზინგის მიმღები იძლევა თანხმობას საკუთარი მონაცემების მოპოვებაზე, გადამუშავებასა და გადაცემაზე შპს „კრედიტინფო ჯორჯია“-სათვის (ს/კ 2044707740) არა მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელიც შესრულდა, არამედ შეუსრულებელ ვალდებულებებზეც. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება წარუდგინოს ლიზინგის მიმღების შესახებ მონაცემები დამფუძნებელ კომპანიას, მის ხელმძღვანელ კომპანიას და ან სხვა დაკავშირებულ (აფილირებულ) კომპანიებს, რომლებმაც პირდაპირ ან ირიბად მიიღეს მნიშვნელოვანი წილობრივი მონაწილეობა 'მოგო'-ს ძირითად კაპიტალში და აგრეთვე განათავსონ ინფორმაცია 'მოგო'-ს პირად მონაცემთა დამუშავების ბაზაში, რომელიც არსებობს 'მოგო'-ს წარმოებაში, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა ლიზინგის მიმღებისათვის მომსახურების გასაწევად.</p> <p>14.7. ლიზინგის მიმღები სალიზინგო ხელშეკრულების პირველ ნაწილში (მნიშვნელოვანი პირობები) ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულების მეორე ნაწილის 9.6. ქვეპუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის ალტერნატივა წარმოადგენს მის ნებასურვილს და არა მოგოს მოთხოვნას სამომავლოდ წინამდებარე ხელშეკრულების გასაფორმებლად.</p>
<p>14.8. მხარეები თანხმდებიან, რომ „მოგო“ უფლებამოსილია ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანოს ლიზინგის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით შეთანხმებული პირობების საფუძველზე. ლიზინგის მიმღების მიერ ცვლილებების დადასტურება ხორციელდება „მოგო“-ს ანგარიშზე შესაბამისი საფასურის გადარიცხვის გზით, რომელიც შეადგენს არანაკლებ 5 ლარს. ამ საშუალებით შეთანხმებულ ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში ენიჭება სრული იურიდიული ძალა.</p>
<p>14.9. ლიზინგის მიმღები აცხადებს თანხმობას მასზე, რომ 'მოგო' გამოიყენებს ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართს და/ან სატელეფონო ნომერს კომერციული მასალების შესახებ ინფორმაციის გასაგზავნად იმ პროდუქტებსა და აქციებზე, რომელთა შეთავაზებასა და ორგანიზებას ახორციელებს 'მოგო' ან 'მოგო'-სთან დაკავშირებული საწარმოები.</p>
<p>14.10. 'მოგო'-ს გააჩნია უფლება დარეკოს ან გააგზავნოს სმს შეტყობინებები ლიზინგის მიმღების მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ან სხვა ნომერზე, გააგზავნოს ელ-ფოსტა ლიზინგის მიერ მითითებულ მისამართზე და აგრეთვე გააგზავნოს საფოსტო გზავნილები ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ლიზინგის მიმღებთან კავშირის დასამყარებლად.</p>
<p>14.11. ლიზინგის მიმღებს არ გააჩნია უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან უფლებებზე მესამე პირს 'მოგო'-ს წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო 'მოგო'-ს გააჩნია სრული უფლება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები გადასცეს მესამე პირს, რაზეც ლიზინგის მიმღები აქვე წინასწარ აცხადებს თანხმობას.</p>
<p>14.12. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაამჟღავნონ მესამე პირთა წინაშე ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, გარდა საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.</p>
<p>14.13. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება 14.12-14.12.3 პუნქტებში მოცემული წესის შესაბამისად.</p> <p>14.13.1. ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ლიზინგის საგნის გამგევის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაზარალების თაობაზე საქმის საკითხს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამარტივებული წესით განიხილავს, სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309'-309' მუხლების შესაბამისად.</p> <p>14.13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა (14.12.1), გათვალისწინებული საკითხისა, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს, კერძოდ შპს „არბიტრაჟის სახლს“ (ს/კ 411322359, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N34: houseofarbitration@gmail.com; www.houseofarbitration.ge). მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად.</p> <p>14.13.3. შპს „არბიტრაჟის სახლი“ დავეს განიხილავს მოქმედი კანონმდებლობის და დავის განხილვის დროს მოქმედი რედაქციის დებულებით დადგენილი წესებით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ან მისი რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება დებულების რომელიმე პუნქტს, მაშინ მოქმედებს საარბიტრაჟო შეთანხმება ან მისი შესაბამისი ნაწილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საარბიტრაჟო შეთანხმება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობას. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია - არბიტრაჟის ადგილსამყოფელი (იურისიული მისამართი). არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე, მხოლოდ სარჩელისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე განიხილოს დავები, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 30 000 ლარს, ხოლო 30 000 ლარის ზევით ჩაატაროს საქმის ზეპირი განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია განცხადებით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.</p>
<p>14.14. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთ-ერთი გადაეცემა 'მოგო'-ს, ერთი - 'ლიზინგის მიმღებს'. ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.</p>
<p>14.15. ამ მუხლის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხორციელდება 'მოგოს' მიერ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სალიზინგო საქმიანობის სათანადო განხორციელების მიზნით;</p>
<p>14.16. ხელშეკრულების პირველ ნაწილზე ხელმოწერით ლიზინგის მიმღები 'მოგოს' უფლებამოსილებას ანიჭებს, რათა მან უზრუნველყოს თავისი საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული პერსონალური და საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემა 'მოგოს კომპანიასა ჯგუფში' შემავალი ყველა და ასევე ნებისმიერი კომპანიისთვის იმის გათვალისწინებით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დაფუძნებულია ასეთი კომპანიები უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.</p>
<p>14.17. ამ მუხლის მიზნებისთვის 'მოგოს კომპანიასა ჯგუფში' მოიაზრება ყველა ის კომპანია, რომელიც წარმოადგენს 'მოგოს' პირდაპირ ან არაპირდაპირ შვილობილს, 'მოგოს' წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, 'მოგოს' დამფუძნებელ კომპანიას, 'მოგოს' დამფუძნებელი კომპანიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, 'მოგოს' დამფუძნებელი კომპანიის ბენეფიციარი მფლობელის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიას და/ან 'მოგოსთან' რამე სხვა სახით აფილირებულ საწარმოს, რომლებიც ფუნქციონირებენ 'მოგოს' საფირმო სახელწოდებით საზღვარგარეთ.</p> <p>14.18. ლიზინგის მიმღები თანახმაა და ანიჭებს მოგო-ს უფლებამოსილებას, რათა მოგომ ნებისმიერ დროს უზრუნველყოს ლიზინგის მიმღების პირადი მონაცემების დამუშავება (შეამოწმოს მისი პირადი მონაცემების ავთენტურობა სხვადასხვა საჯარო და/ან კერძო მონაცემთა ბაზებიდან, მოიძიოს მონაცემები, განახორციელოს მონაცემთა შედგენა/შეგროვება და გადაცემა მესამე მხარეთათვის და მესამე მხარეებისაგან, განახორციელოს ინფორმაციის საერთაშორისო გადაცემა და მონაცემთა შენახვა ხელშეკრულების სრულად შესრულების შემდეგაც, ასევე შესაბამის ფილიალში აწარმოოს ვიდეო, აუდიო და ფოტო ჩაწერა.</p>